როსტომ ლეჟავა *

2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტი - ცვლილება სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურაში

აბსტრაქტი

1994 წელს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ბიშკეკის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის აქტიური ფაზა დასრულდა, რამაც სამხრეთ კავკასიის რეგიონს მნიშვნელოვანი სტაბილურობა მოუტანა.

კონფლიქტის ორივე მხარემ უსაფრთხოების არქიტექტურის მშენებლობის განსხვავებული გზა აირჩია. სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოა, სადაც უსაფრთხოების მთავარი გარანტორი რუსეთია. ამავდროულად სომხეთსა და რუსეთს შორის, 2010 წლის 20 აგვისტოს გაფორმდა გაფართოებული თავდაცვის პაქტი, რომელიც დამატებითი უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ, სომხეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო შენაერთების გაზრდას გულისხმობს.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, მან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია 1999 წელს საქართველოსთან ერთად დატოვა, სანაცვლოდ კი 2010 წლის 21 დეკემბერს, აზერბაიჯანის პარლამენტმა მოახდინა თურქეთთან ერთად გაფორმებული „სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი დახმარების შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება, რის საფუძველზეც მა-

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის და მართვის პროგრამის დოქტორანტი.

თი სამხედრო თანამშრომლობის ხარისხი თვისებრივად ახალ ეტაპ-ზე გადავიდა.

ფაქტია, რომ 1994 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არაერთხელ გამწვავდა ვითარება, თუმცა ფართომასშტაბიანი სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობას, აზერბაიჯანისა და სომხეთის უსაფრთხოების მექანიზმები არ იძლეოდა. ამის მკაფიო მაგალითია 2016 წლის "ოთხ დღიანი ომი", რომელმაც მისი უპრეცენდენტო მასშტაბების მიუხედავად, კონფლიქტის მწვავე ფაზას ვერ მიაღწია.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს, რომ 2020 წლის ყარაბაღის მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურა.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოების არქიტექტურა, სტატუს კვო, მთიანი ყარაბაღი

შესავალი

რუსეთის მედიატორობით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წლის 9 ნოემბერს გაფორმებულმა შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო არსებული სტატუს კვო რადიკალურად შეცვალა. აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ მოექცა ფიზულის, ჯაბრაილის, ზანგილანისა და ქუბალდის რაიონები. ამავდროულად, 9 ნოემბრის შეთანხმების საფუძველზე, აზერბაიჯანის იურისდიქციას დაუბრუნდა კალბაჯარის, ლაჩინისა და ადგამის რაიონები. ასევე აზერბაიჯანის კონტროლქვეშ მოექცა სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ქალაქი შუშა.

სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ლაჩინის სატრანზიტო დერეფანი, რომელიც სომხეთს სტეფანაკერტთან აკავშირებს, რუსი სამშვიდობო ძალების მიერ გაკონტროლდება. ამასთან, ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ აზერბაიჯანს ექნება შესაძლებლო-

ბა უსაფრთხო სახმელეთო დერეფნით დაუკავშირდეს მის ანკლავ ნახჭევანს, რომელთანაც ფიზიკური საზღვარი არ გააჩნია. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც რუსი სამშვიდობო ძალები გვევლინებიან სატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოების მთავარ გარანტორად.

სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებამ, დაასრულა ყარაბაღის კონფლიქტის აქტიური ფაზა, თუმცა პრობლემის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - მთიანი ყარაბაღის სტატუსი კვლავაც გადაუწყვეტი დარჩა.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურად იყო ჩართული ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტორი. 2020 წლის 27 სექტემბერს, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა საჯარო განცხადება, სადაც დაგმო კონფლიქტის ესკალაცია და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილე - სტეფან ბიგუნმა, უშუალო კომუნიკაცია დაამყარა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. 2020 წლის 23 ოქტომბერს, ქალაქ ვაშინგტონში, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ, შეხვედრები გამართა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებთან, სადაც ხაზი გაუსვა კონფლიქტის დეესკალაციის მნიშვნელობას და მხარეებს აქტიური სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდა. აღნიშნული შეხვედრის შემდგომ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კონფლიქტის ორივე მხარეს მიულოცა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა, რომელიც ამერიკის უშუალო ჩართულობის შედეგად განხორციელდა. ამერიკა კონფლიქტის მოგვარების პროცესში აქტიურად იყენებდა მინსკის ჯგუფის ფორმატს. 2020 წლის 1 ოქტომბერს, აშშ-ის, რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა, მინსკის ჯგუფის ფორმატში ერთობლივი განცხადება გააკეთეს, სადაც კონფლიქტის ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდეს. ფართომასშტაბიანი შეხვედრები გაიმართა შვე-

იცარიის ქალაქ ჟენევაში, 2020 წლის 30 ოქტომბერს. შეხვედრას მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ესწრებოდნენ. დაპირისპირებული მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადგილი არ ექნებოდა სამოქალაქო პირებზე მიზანმიმართულ თავდასხმებს. ასევე შეთანხმება შედგა გარდაცვლილი პირებისა და სამხედრო ტყვეების გაცვლასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობას, ასევე მინსკის ფორმატში გამართულ სამუშაო შეხვედრებს არ უთამაშიათ გარდამტეხი როლი მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებაში.

კონფლიქტის აქტიური ფაზა 9 ნოემბერს, რუსეთის მედიატორობით, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ დასრულდა. ხელშეკრულებას მოსკოვში ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, სომხეთის პრემიერმა ნიკოლ პაშინიანმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და ძალაში 2020 წლის 10 ნოემბერს შევიდა.

2020 წლის 9 ნოემბრის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში თურქეთის როლი უმნიშვნელოვანესია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის ხელშეკრულების ხელმომწერ მხარედ არ გვევლინება. უფრო მეტიც, 9 ნოემბრის შეთანხმება შესაძლოა განვიხილოთ, როგორც რუსულ-თურქული თანამშრომლობის ნაყოფი, მათი სტრატეგიული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტმა ყველასთვის ცხადყო, რომ კონფლიქტის მოგვარების მინსკის ფორმატი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები, ორი რეგიონული დომიმანტი სახელმწიფოთი - თურქეთით და რუსეთით ჩანაცვლდა რაც სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილებებზე მიგვანიშნებს.

აზერბაიჯანულ-თურქული ურთიერთობები - გზა 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტამდე

თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა ათწლეულებს ითვლის. თურქეთმა უდიდესი როლი ითამაშა აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის შენების პროცესში, ის იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წელს, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადა. თურქეთი 1988 - 1994 წლებში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს, აზერბაიჯანს აქტიურად უჭერდა მხარს, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ოფიციალური ბაქო ყოველთვის ფრთხილობდა, რომ თურქეთთან სიახლოვეს არ გამოეწვია რუსეთის გაღიზიანება, რის გამოც, 2010 წლამდე, აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა ფორმალიზებულ ხასიათს არ ატარებდა.

2010 წლის აგვისტოში, რუსეთსა და სომხეთს შორის გაფართოებული თავდაცვითი პაქტი გაფორმდა. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ, 1995 წელს დადებული შეთანხმება ჩაანაცვლა, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე განთავსებული რუსი სამხედროებისა და სამხედრო ბაზების სტატუსს განსაზღვრავდა. ახალი ხელშეკრულებით სომხეთმა რუსეთისგან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები მიიღო, რამაც აზერბაიჯანსა და თურქეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

აზერბაიჯანმა და თურქეთმა, რუსეთ-სომხეთის ურთიერთობათა ახალ ფორმატს, სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულება დაუპირისპირეს, რომელიც აზერბაიჯანის პარლამენტის მხრიდან, 2010 წლის 21 დეკემბერს იქნა რატიფიცირებული. აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტის ჰეილდარ ალიევის მრჩეველი საგარეო საკითხებში - ელდარ ნამაზოვი ჯერ კიდევ 2010 წელს გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლოა აზერბაიჯანი ამ ხელშეკრულების დადებით, კონფლიქტის სამხედრო გზით

გადაჭრას გულისხმობდა. აღნიშნული ვარაუდები 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტმა გაამართლა.

აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის 2010 წლის 16 აგვისტოს გაფორმებულმა შეთანხმებამ, მნიშვნელოვნად განამტკიცა აზერბაიჯანის სამხედრო პოტენციალი. ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამხედრო კომპონენტს უჭირავს. შეთანხმების საფუძველზე, თურქეთი და აზერბაიჯანი იღებენ პასუხისმგებლობას, რომ მათზე სამხედრო აგრესიის შემთხვევაში კოლექტიურ თავდაცვის მექანიზმებს აამოქმედებენ, იმ დათქმით, რომ აზერბაიჯანზე თავდასხმის შემთხვევაში თურქეთი მხოლოდ დამატებითი კონსულტაციების შემდგომ ჩაებმება კონფლიქტში.

გაფორმებული ხელშეკრულებით, მხარეებმა აიღეს ვალდებულება სამხედრო თანამშრომლობის ყველა კრიტიკული მიმართულების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რაც საერთო წრთვნების ჩატარებასა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციას მოიაზრებდა.

ხელშეკრულების დადებისას, დიდი სიფრთხილით იქნა გათვალისწინებული რუსეთის, ირანისა და ნატოს ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, აქედან გამომდინარე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო ბაზები არ განთავსებულა.

თურქეთის უშუალო ხელშეწყობითა და თანადგომით, დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან, აზერბაიჯანმა ურთულესი გზა განვლო, რომელიც უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის მოდერნიზაციას და ენერგოპროექტების განხორციელებას გულისხმობდა. აზერბაიჯანისა და თურქეთის წარმატებული თანამშრომლობით, დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (2006) და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (2007) გაზსადენის მშენებლობა, რამაც აზერბაიჯანის ეკონომიკა და სამხედრო ბიუჯეტი გეომეტრიული პროპორციით გაეზარდა.

აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტის პირველი თვალნათელი ზრდა 2005 – 2006 წლებში დაფიქსირდა, როდესაც აზერბაიჯანმა

2005 წლის სამხედრო ბიუჯეტი - 644 მილიონი აშშ დოლარიდან, 2006 წელს, 1 მილიარდ 322 მილიონი აშშ დოლარამდე გაზარდა.(Komakhia, 2017) 2011 წელს აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტმა რეკორდული მაჩვენებელს - 3 მილიარდ 79 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც მეტწილად 2010 წელს, თურქეთთან გაფორმებულმა შეთანხმებამ განაპირობა.

საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის (SIPRI) მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, 2015 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანის სამხედრო ხარჯებმა 4 მილიარდ 800 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც იმავე წლის სომხეთის თავდაცვის ხარჯებს (447 მილიონი აშშ დოლარი) 10 ჯერ აღემატებოდა.

აზერბაიჯანმა, წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, 2005 წელს საფუძველი ჩაუყარა იარაღის წარმოების ინდუსტრიას. ამავდროულად, 2006-2010 და 2011-2016 წლებში მსოფლიო იარაღის ბაზრებზე წვდომის შედეგად, მნიშვნელოვნად გაზარდა იარაღის იმპორტი.

2010 წლის დეკემბერში, მემორანდუმი გაფორმდა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრსა და თურქეთის უმსხვილეს იარაღის მწარმოებელ კომპანია Otokar-ს შორის, სადაც ქვეითთა შეიარაღებისა და სხვადასხვა ტიპის საბრძოლო მასალების საერთო წარმოება დაანონსდა. შედეგად 2017 წელს, ოფიციალურად გაიხსნა საბრძოლო მასალების მწარმოებელი ქარხანა შირვანში, რამაც აზერბაიჯანი იარაღის მწარმოებელ ქვეყანად აქცია. ილჰამ ალიევის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანში დღესდღეობით 30-მდე იარაღისა და საბრძოლო დანადგარების მწარმოებელი ქარხანა ოპერირებს და 1200-მდე სახეობის სამხედრო პროდუქტი იწარმოება. აზერბაიჯანი პერიოდულად მასპინძლობს სამხედრო გამოფენებს, სადაც მსოფლიოს აცნობს მის მიერ შექმნილ სამხედრო ტექნოლოგიებს.

სამხედრო ინდუსტრიის გასავითარებლად, აზერბაიჯანი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან. ამ კუთხით ნიშანდობლივია თანამშრომლობის ხარისხი თურქეთთან და ისრაელთან. აზერბაიჯანისა და ისრაელის სამხედრო-ტექნოლოგიურ დარგში ურთიერთობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადაგან აღნიშნული მოვლენა პოსტსაბჭოთა სივრცისთვის უპრეცედენტოა.

რუსულ-სომხური ურთიერთობების ბუნების მიუხედავად, აზერბაიჯანს რუსეთთან არსებული სამხედრო თანამშრომლობა არ შეუწყვეტია. აღნიშნული სტრატეგიული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, პოზიტიური დიპლომატიური გზავნილია ოფიციალური მოსკოვის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, გამორიცხავდა სომხეთის უპირატესობას სამხედრო ტექნოლოგიების კუთხით, ვინაიდან სომხეთის შეიარაღების უდიდესი ნაწილი რუსული წარმოებისაა.

აზერბაიჯანის მიერ 2010 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში რუსეთისგან შეძენილი სამხედრო ტექნიკის საერთო ღირებულებამ - 4 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთის ჩართულობა იყო ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც აზერბაიჯანის სამხედრო წარმატება განაპირობა. თურქეთი ყოველთვის უჭერდა მხარს მისი მომძე ერის - აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, თუმცა ყოველთვის ცდილობდა არ წარმოჩენილიყო კონფლიქტის მხარედ, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მის პოზიციებს დააზიანებდა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, თურქეთი ანგარიშს უწევდა ეუთოს ეგიდით შექმნილ მინსკის ჯგუფს, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლობით, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს.

ფაქტია, რომ თურქეთმა 2020 ყარაბაღის კონფლიქტის დროს უჩვეულოდ ხისტი პოზიცია დაიკავა. ოფიციალურმა თურქეთმა, მისი პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის თაოსნობით, აზერბაიჯანს ღიად აღმოუჩინა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება სომხეთის დასამარცხებლად. თურქეთმა აზერბაიჯნს მიაწოდა Bayraktar TB2-ტიპის სამხედრო დრონები, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კონფლიქტის გადაწყვეტაში. აზერბაიჯანმა სამხედრო დრონების გამოყენებით მინიმალური დანაკარგებით მოახერხა სომხეთის სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილის განადგურება, რომელთა საერთო ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

სომხეთის სამხედრო დანაკარგები		
N	**სამხედრო ტექნიკის დასახელება**	**ერთეული**
1	საზენიტო-სარაკეტო სისტემა S-300	4
2	ტანკი	241
3	ქვეითთა საბრძოლო მანქანა - ჯავშანტექნიკა	50
4	თვითმავალი იარაღი	17
5	ქვემეხი	198
6	ჰაუბიცერი	58
7	ანტისატანკო სარაკეტო სისტემა	53
8	"გრადის" სარაკეტო სისტემა	70
9	"ურაგანის" სარაკეტო სისტემა	2
10	"ტორის" საზენიტო სარაკეტო სისტემა	3
11	"2K11 Krug" სარაკეტო სისტემა	5
12	სატვირთო ავტომობილი	198
13	9K33 OSA AERIAL საჰაერო თავდაცვის სისტემა	40
14	სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატი	8
15	"ELBRUS" - ტაქტიკური ბალისტიკური სარაკეტო სისტემა	1
16	"Tochka" - ტაქტიკური ბალისტიკური სარაკეტო სისტემა	1
17	სარადარო სისტემა	8

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სააგენტო Anadolu-ს სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით (30.07.2021)

ათწლეულების მანძილზე, ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძველს რუსეთ-თურქეთის ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენდა, რასაც ყოველთვის ჰქონდა შემაკავებელი/დამაბალანსებელი ეფექ-

ტი მთიანი ყარაბაღის ირგვლივ არსებულ მოვლენათა ესკალაციის პროცესში. 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტში, თურქეთის აქტიურმა ჩართულობამ და აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებამ, რომელსაც რუსეთმა წინააღმდეგობა არ გაუწია, ცხადყო, რომ სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პარადიგმამ ცვლილება განიცადა.

რუსეთი, როგორც კონფლიქტის გამარჯვებული მხარე და მთავარი მედიატორი

რუსეთის როლი ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტში ნიშანდობლივია. მან ერთი მხრივ კონფლიქტის პირველ ეტაპზე აზერბაიჯანსა და თურქეთს მისცა აქტიური მანევრირებისა და მათი სტრატეგიული ინტერესების რეალიზების საშუალება, ხოლო მეორე მხრივ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმებით წარმოაჩინა, თუ ვინ არის რეგიონში რეალური დომინანტი. აღსანიშნავია, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას ხელი სწორედ მოსკოვში მოეწერა.

რუსეთმა 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტის მეშვეობით მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ლეგიტიმაციის ხარისხი კავკასიის რეგიონში.

- მთიანი ყარაბაღის ტერიტორია და ლაჩინის დერეფანი რუსმა სამშვიდობოებმა დაიკავეს, რომელთა განკარგულებაშია: 1960 შეიარაღებული ჯარისკაცი, 90 ჯავშნიანი ავტოტრანსპორტი, 380 ავტომობილი და სხვა სპეციალური დანიშნულების ტექნიკა.(Deutsche Welle (DW), 2020);
- აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რუსული სამშვიდობო შენაერთები განთავსდნენ;

რუსეთმა 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტის პირველ ეტაპზე გამოჩენილი ინერტულობით, ერთი მხრივ მოახდინა დემონსტრირება, თუ რამდენად დაუცველია სომხეთი რუსეთის დახმარების

გარეშე, ხოლო მეორე მხრივ, დასაჯა სომხეთის პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი, რომელმაც ე.წ. "რუსულ კურსს" გადაუხვია და სომხეთში 2018 წლის შემდგომ არაერთი დემოკრატიული რეფორმა გაატარა.

რუსეთმა 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ პრაქტიკულად ჩაანაცვლა მანამდე არსებული მინსკის ფორმატი, რაც მას სამხრეთ კავკასიის რეგიონში მანევრირების საშუალებას გაუმარტივებს.

რუსეთის ქმედებები ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტში მოულოდნელი იყო როღორც სომხეთისთვის, ასევე სხვა რეგიონული მოთამაშეებისათვის, რაც სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურის ცვლილებაზე მეტყველებს.

სომხეთი 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ

2020 წლის ყარაბაღის მოვლენები ყველაზე მტკივნეულად სომხეთს შეეხო.

- სომხეთმა დაკარგა 4005 სამხედრო მოსამსახურე და ასამდე მშვიდობიანი მოქალაქე (BBC News,2020);
- განადგურდა სომხეთის სამხედრო შეიარაღების უდიდესი ნაწილი;
- სომხეთმა დაკარგა კონტროლი მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე შვიდივე რეგიონზე;
- მთიანი ყარაბახი დატოვეს სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა და ჩანაცვლდნენ რუსი სამშვიდობოებით.

მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე რაიონების დაკარგვით, სომხეთმა დაკარგა ერთადერთი ქმედითი ინსტრუმენტი, აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე მოლაპარაკებების პროცესში. სწორედ აღნიშნული რეგიონებით "ვაჭრობა" ითვლებოდა მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთადერთ

რეალურ შესაძლებლობად, რასაც კონფლიქტის ორივე მხარე კარგად აცნობიერებდა.

სომხეთის პრეზიდენტმა ნიკოლ პაშინიანმა, 9 მოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ აღნიშნა, რომ ეს იყო მისთვის და სომეხი ხალხისთვის უმძიმესი გადაწყვეტილება, რომელსაც ფრონტზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით ალტერნატივა არ გააჩნდა. ომში დამარცხების შემდეგ სომხეთი სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე აღმოჩნდა. 9 ნოემბრის შეთანხმების გაფორმებიდან მეორე დღეს, ერევანში მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა. თავდასხმის ობიექტებს წარმოადგენდნენ სახელმწიფო და ადმინისტრაციული ობიექტები, პროტესტანტების მხრიდან განხორციელდა პარლამენტის შენობის დაკავება. მომიტინგეებმა სცემეს პარლამენტის თავმჯდომარე არარატ მირზოიანი, რასაც მოყვა მისი ჰოსპიტალიზაცია.

საპროტესტო აქციების ორგანიზატორები რადიკალური მეთოდებით მოითხოვდნენ ნიკოლ პაშინიანის გადადგომას და მას პასუხისმგებლობას აკისრებდნენ წაგებულ ომთან დაკავშირებით. არსებული არეულობის ფონზე, სახელმწიფო უწყებებს უმძიმეს ვითარებაში უხდებოდათ ფუნქციონირება. რეგიონში ყველასთვის ცხადი იყო, რომ მიმდინარე მოვლენები სცდებოდა სომეხი ხალხის გულწრფელ პროტესტს და საქმე გვქონდა მართულ პროცესებთან, რომელიც რუსეთის ინტერესებში შედიოდა და რასაც შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ რუსეთის სადამსჯელო ღონისძიება სომხეთის პრემიერ ნიკოლ პაშინიანის წინააღმდეგ.

უმძიმესი სიტუაციის მიუხედავად, პაშინიანმა მოახერხა მართვის სადავეების შენარჩუნება. 2020 წლის 14 ნოემბერს სომხეთის სპეცსამსახურებმა დააკავეს სომხეთის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, რომელსაც ბრალი სახელმწიფო გადატრიალებისა და პაშინიანის ლიკვიდაციის მცდელობის ფაქტზე წაეყენა. აღნიშნულ მოვლენათა პარალელურად, თანამდებობები დატოვეს სომხე-

თის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ეკონომიკის მინისტრებმა. საპროტესტო მუხტმა 2020 წლის დეკემბრამდე გასტანა.

აღსანიშნია, რომ სომხეთმა სახელმწიფოებრიობის ტესტი წარმატებით ჩააბარა. სომეხმა ხალხმა ერთგვარი სოლიდარობა გამოუცხადა ნიკოლ ფაშინიანს, როგორც რუსეთისგან ბრძოლაში მიტოვებულ მთავარსარდალს. 2021 წლის საპარლამენტო არჩევნებში ფაშიანიანის პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა (BBC News,2021) და მან პრემიერის პოსტი შეინარჩუნა.

დღეისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში სომხეთის უსაფრთხოების არქიტექტურის ყველაზე მყარი სვეტი - ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესია. 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტმა ცხადყო, რომ რუსეთი არასაიმედო სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთს, მიუხედავად მიღებული უმკაცრესი გაკვეთილისა, არ აქვს რეალური შესაძლებლობა უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე, ვინაიდან მთიანი ყარაბაღის სტატუსი კვლავ გადასაწყვეტია, რაც სომხეთს რუსეთის "ტყვეობაში" ამყოფებს. ფაქტია, რომ რუსულ-სომხური ურთიერთობები ვეღარ იქნება უწინდებური. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით ერთგვარი ბზარი გაჩნდა რუსეთსა და მის ყველაზე საიმედო სამხედრო პარტნიორთან სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რამაც თავისთავად შეცვალა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურა.

პოსტკონფლიქტური პერიოდის ეკონომიკური ასპექტები

სამხრეთ კავკასიის რეგიონი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ენერგო დერეფანს ევროპასა და აზიას შორის. რეგიონში გვხვდება ისეთი უმსხვილესი ენერგო პროექტები, როგორებიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი. 1994 წლის ყარაბაღის კონფლიქტის

შედეგად სომხეთი და მთიანი ყარაბაღის რეგიონი აღნიშნული ენერგოპროექტების მიღმა აღმოჩნდნენ.

2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ეკონომიკური ურთიერთობების განახლების საშუალებას იძლევა. შეთანხმების თანახმად, რეგიონში უნდა აღდგეს თავისუფალი ტრანზიტი და ვაჭრობა, რაც თეორიულად იძლება შესაძლებლობას, რომ სომხეთმა თავი დააღწიოს ეკონომიკურ იზოლაციას თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან, რომელიც ათწლეულებია მძიმე ტვირთად აწევს სომხეთის ეკონომიკას.

2020 წლის 1 დეკემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, მის თურქ და რუს კოლეგებთან საუბარში გააჟღერა ინიციატივა სავაჭრო პლატფორმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, სადაც ექვსი სახელმწიფო: აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, ირანი, საქართველო და სომხეთი იქნებიან წარმოდგენილი. აღნიშნული მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, თუმცა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი სომხეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას არ გამორიცხავს იმედისმომცემია.

აქვე უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის მიერ 1994 წელს დაკარგული პროვინციების დაბრუნების შემდგომ, დღის წესრიგში დადგა იმგვარი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სტეფანაკერტის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. მთიანი ყარაბახის დედაქალაქი სტეფანაკერტი 2020 წლის კონფლიქტამდე, ქალაქ შუშასთან მდებარე წყლის რეზერვუარიდან მარაგდებოდა, რაც ამჟამად აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაა.

ფაქტია, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს, 2020 წლის 10 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მოუხდებათ თანამშრომლობა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად, ჰუმანიტარული კრიზისის თავიდან ასარიდებლად, რაც მნიშვნელოვნად ცვლის რეგიონში არსებულ სტატუს კვოს.

რუსულ-თურქულ ურთიერთობათა ახალი ეტაპი

2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთმა პირდაპირი დახმარება აღმოუჩინა აზერბაიჯანს, რითაც ტრადიციული რუსული გავლენების ზონაში არსებულმა ლოკალურმა კონფლიქტმა, გლობალური ხასიათი შეიძინა. სამხრეთ კავკასიის რეგიონი არ არის ერთადერთი ზონა, სადაც რუსულ-თურქული ინტერესები იკვეთება. ორივე სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებში, რაც მათ ურთიერთობას კიდევ უფრო კომპლექსურ ხასიათს სძენს.

თურქეთი, ერთი მხრივ, აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან, მან საჰაერო თავდაცვის სისტემები (S-400) სწორედ რუსეთისგან შეიძინა, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთისგან საპირისპირო პოზიციები უკავია სირიასა და ლიბიაში. როგორც ცნობილია, სირიაში, 2020 წლის დასაწყისში რუსულმა საავიაციო დარტყმებმა თურქი ჯარისკაცი იმსხვერპლა. აღნიშნულ აქტს თურქეთმა შემხვედრი მოქმედებით უპასუხა და 2020 წლის მაისში, რუსული ინტერესების საწინააღმდეგოდ, ლიბიაში სამხედრო მრჩევლები და სირიელი მეომრები წარგზავნა.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტი შეიძლება განვიხილოთ რუსეთისა და თურქეთის წარმატებული თანამშრომლობის ერთგვარ პრეცენდენტად, სადაც ორმა სუპერსახელმწიფომ მოახდინა სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენათა გადანაწილება, ერთმანეთის სტრატეგიული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. მართალია აღნიშნული ფაქტი რაიმე სამართლებრივი დოკუმენტით, ან ხელშეკრულებით არ არის გამყარებული, თუმცა ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში მოდის ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებთან. ცალსახაა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ არსე-

ბულმა რუსულ-თურქულმა ტანდემმა რადიკალურად შეცვალა სამხრეთ კავკასიაში არსებულ ძალთა ბალანსი.

მთიანი ყარაბახის სტატუსი 2020 წლის კონფლიქტის შემდეგ

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ, კვლავ ბუნდოვანია მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილის სტატუსი, რომელსაც აზერბაიჯანი ვერ აკონტროლებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე აქტიურად ბრუნდებიან ეთნიკური სომხები, რომლებმაც ომის პერიოდში სტეფანაკერტი დატოვეს. აზერბაიჯანული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ასევე მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, განმარტავენ, რომ სტეფანაკერტი აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ეთნიკური სომხები, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. ოფიციალური ბაქო უარს აცხადებს რეგიონის სტატუსის გარშემო მოლაპარაკების წარმოებაზე. აზერბაიჯანი, განსხვავებით წინა პერიოდისგან, გამარჯვებულის პოზიციიდან განიხილავს საკითხს და კომპრომისს არ აპირებს. მეორე მხრივ, ოფიციალური სომხეთის პოზიცია უცვლელია, რომლის თანახმადაც მთიან ყარაბაღში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ პირებს თვითგამორკვევის უფლება გააჩნიათ. დღევანდელი მდგომარეობით, მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილს, რომელსაც აზერბაიჯანი ვერ აკონტროლებს, მართავენ პოლიტიკოსები, რომლებიც აზერბაიჯანის პროკურატურის მხრიდან სამხედრო დანაშაულების ჩადების ფაქტებზე იძებნებიან. ბუნდოვანია იმ სამხედრო პირთა სტატუსიც, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლავ არიან თავმოყრილი, გაურკვეველია მოხდება თუ არა მათი განიარაღება.

ასევე ბუნდოვანია საკითხი, თუ რა მიზანს მოემსახურება კონფლიქტის ზონაში ჩამდგარი 1960 რუსი სამხედრო. საინტერესოა

რამდენად შეძლებენ ისინი მთიანი ყარაბახის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ლაჩინის დერეფნის კონტროლს.

დაპირისპირებული მხარეების მხრიდან აქტიურად განიხილება იმ რელიგიურ ძეგლთა საკითხი, რომლებიც მთიან ყარაბაღში მდებარეობს. 1994 წლის ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ, აზერბაიჯანულმა მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ მათი კუთვნილი რელიგიური ტაძრები, ასევე ისტორიული არტეფაქტები, უკეთეს შემთხვევაში იყო მიტოვებული, ხოლო უარესში შეურაცხყოფილი. ათწლეულების მანძილზე თანმხვედრი ბრალდებები ისმოდა სომხეთის მხრიდანაც, რომელიც აზერბაიჯანს მის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე სომხური ეკლესიებისა და სამარხების დაზიანებაში ადანაშაულებდა. საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად მოუწოდებს აზერბაიჯანს პატივი სცეს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არსებულ სომხურ ქრისტიანულ ძეგლებს, თუმცა სოციალურ ქსელებში არაერთი ვიდეო გავრცელდა, რომელიც მეტყველებს, რომ მოვლენები საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს. ოფიციალური აზერბაიჯანი სომხური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურებაში ეთნიკურად სომეხ პირებს ადანაშაულებს, რომლებმაც მათი ვერსიით, ტერიტორიის დატოვებამდე თავად მოახდინეს ისტორიული ძეგლების გაძარცვა.

ასევე პასუხგაუცემელია საკითხი, მიეცემიან თუ არა პასუხისგებაში სამხედრო დანაშაულების ჩამდენი პირები. კონფლიქტის ორივე მხარეს შეტანილი აქვს სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში.

2020 წლის 9 ნოემბრის შეთანხმებით, მთიანი ყარაბაღის სტატუსის უცვლელად დატოვება გულისხმობს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში კვლავ რჩება მიძინებული კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა კვლავ გახდეს რეგიონული მოთამაშეების მხრიდან მანიპულირების ობიექტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებში ვითარების გამწვავება აღარ შედის, ვინაიდან ერთი მხრივ აზერბაიჯანმა დაიკმაყოფილა მისი ძირითადი სტრატეგიული ინტერესი, რაც 1990-იან წლებში დაკარგული 7 რაიონის დაბრუნებას წარმოადგენდა, ხოლო მეორე მხრივ სომხეთი აცნობიერებს, რომ მისთვის ყველაზე ხელსაყრელი და რეალისტური მიზანი, მთიან ყარაბაღში არსებული სტატუს კვოს შენარჩუნებაა.

მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებული სიტუაცია მეტად ხელსაყრელია რუსეთისთვის, მან ერთი მხრივ გაიფორმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის უალტერნატივო მედიატორობა, რითაც მინსკის ფორმატი ჩაანაცვლა, ხოლო მეორე მხრივ, სულ მცირე 5 წლით დააკანონა თავისი სამშვიდობო შენაერთების წარმომადგენლობა მთიანი ყარაბაღის რეგიონში.

თავის მხრივ, თურქეთმა დაამტკიცა, რომ ის საიმედო სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორია, რითაც ერთგვარი პოზიტიური სიგნალი გააგზავნა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ მუსლიმურ სახელმწიფოებში, როგორც რუსეთის ალტერნატიულმა და ბევრად უფრო საიმედო ძალამ.

ნაშრომში გამოიკვეთა, რომ 2020 წლის ყარაბაღის მოვლენებმა საგრძნობლად განამტკიცა რუსეთისა და თურქეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, შეასუსტა რეგიონს მიღმა არსებულ სუპერსახელმწიფოთა გავლენები, რამაც მკვეთრად შეცვალა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურა.

ლიტერატურა

- Kramer, Andrew E. (2021). "Armenia and Azerbaijan: What Sparked War and Will Peace Prevail?", https://www.nytimes.com/article/armenian-azerbaijan-conflict.html (last seen 22/07/2021)
- International Crisis Group Briefing N°91 (2020). "Improving Prospects for Peace after the NagornoKarabakh War", https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/b091-improving-prospects-nagorno-karabakh-war.pdf (last seen 20/07/2021)
- Welt, Cory & Bowen, Andrew. S (2021). "Azerbaijan and Armenia: The NagornoKarabakh Conflict", https://fas.org/sgp/crs/row/R46651.pdf (last seen 15/06/2021)
- Askerov, Ali (2020). "The Nagorno Karabakh Conflict- The Beginning of the Soviet End", https://www.researchgate.net/publication/339415817_The_Nagorno_Karabakh_Conflict-_The_Beginning_of_the_Soviet_End (last seen 19/07/2021)
- Modebadze, Valeri (2021). "The escalation of conflict between Armenians and Azerbaijanis and the problems of peaceful resolution of the Nagorno-Karabakh war", https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/71173/ssoar-jlibertyintaff-2021-3-modebadzeThe_escalation_of_conflict_between.pdf?sequence=1&isAllowed=y&lnkname=ssoar-jlibertyintaff-2021-3-modebadze-The_escalation_of_conflict_between.pdf (last seen 10/08/2021)
- Atallah, Yassen & Ross, Sarya & Dickie, Ann & Stanchulov, Nikolay (2021). "2021 Conflict Risk Diagnostic:Nagorno-Karabakh", https://carleton.ca/cifp/wp-content/uploads/2021-Nagorno-Karabakh.-Conflict-Diagnostic.pdf (last seen 08/08/2021)
- Anadoly Agency (2020). "Azerbaijan destroys 4 Armenian S-300 missile systems", https://www.aa.com.tr/en/info/infographic/20583 (last seen 04/08/2021)
- Deutsche Welle (DW) (2020). "Russia deploys peacekeepers to Nagorno-Karabakh", https://www.dw.com/en/russia-deploys-peacekeepers-to-nagorno-karabakh/a-55559305 (last seen 07/08/2021)
- BBC News (2021). "Armenia election: PM Nikol Pashinyan wins post-war poll", https://www.bbc.com/news/world-europe-57549208 (last seen 09/08/2021)

- RadioFreeEurope RadioLiberty (2010). "Russia, Armenia Sign Extended Defense Pact", https://www.rferl.org/a/Russian_President_Medvedev_To_Visit_Armenia/2131915.html (last seen 05/09/2021)
- Eurasianet (2011). "Azerbaijan-Turkey Military Pact Signals Impatience with Minsk Talks – Analysts", https://eurasianet.org/azerbaijan-turkey-military-pact-signals-impatience-with-minsk-talks-analysts (last seen 03/09/2021)
- Komakhia, Mamuka (2017). "სამხედრო ხარჯების ზრდა და რუსეთთან ურთიერთობა: აზერბაიჯანი სომხეთზე უპირატესობ-ის მოპოვებას ცდილობს", https://www.gfsis.org/ge/blog/view/752 (last seen 03/09/2021)

Rostom Lezhava

The Nagorno Kharabakh Conflict of 2020 – A Change in the Security Arcitecture of the South Caucasus

Abstract

In 1999 after signing the Bishkek peace agreement between Azerbaijan and Armenia, the active phase of the Nagorno-Karabakh conflict has finished that has brought significant stability to the South Caucasus region.

Both sides of the conflict have chosen different pathways of building the security architecture. Armenia has joined the Collective Security Treaty Organization where Russia is the main guarantor of the safety. At the same time on 20th of august 2010, Extended Defense Pact was signed between Armenia and Russia that implies additional security guaranties for Armenia in exchange of an increased Russian military presence on Armenian soil.

What concerns to Azerbaijan, in 1999 it left the Collective Security Treaty Organization alongside with Georgia. On 21th of December 2010, The Parliament of Azerbaijan ratified the Agreement on Strategic Partnership and Mutual Support signed between the Azerbaijan and the Turkey - that has taken their military cooperation to the next level.

It is undoubtable fact that from 1994 until 2020, situation between Azerbaijan and Armenia has deteriorated many times over the Nagorno-Karabakh conflict, but the security mechanisms of the Azerbaijan and Armenia have never allowed the full-scale military escalation.

The best pattern for the aforementioned judgement is the 2016 **Four Day War** - that was never escalated into the full-scale conflict regardless its unprecedented size and the nature.

The article is dedicated to represent that 2020 Nagorno-Karabakh conflict has dramatically changed the security architecture of the South Caucasus Region.

Key Words: Security Architecture, Status Quo, Nagorno-Karabakh